

მიღებულია არასამეწარმეო იურიდიული პირის  
„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის  
საერთაშორისო საზოგადოების“ საერთო კრების  
მიერ 2010 წლის 26 მარტს

## სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების

### წესდება

(ახალი რედაქცია)

თბილისი  
2010 წელი

## **პრეამბულა**

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება იღებს რა ამ წესდებას, აცხადებს, რომ ერთგულია დემოკრატიული პრინციპებისა, მოქმედებს ღიად და გამჭვირვალედ, იცავს თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორობის, მრავალფეროვნების, პლურალიზმის, კეთილგანწყობილი პარტნიორობის, ურთიერთადიარების, პატივისცემის, სამოქალაქო გამბედაობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, პროფესიონალიზმის, დემოკრატიული მმართველობის, დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, კოლეგიალობის, მიუკერძოებლობის, კანონმორჩილების, კეთილსინდისიერების, პასუხისმგებლობის, მისიის ერთგულებისა და პრინციპულობის, შედეგზე ორიენტირებისა და მიზანდასახულობის პრინციპებს.

## **ტერმინთა განმარტებები**

**წევრთა ელექტრონული ბაზა** – საზოგადოების წევრებისა და საპატიო წევრების სრული მონაცემთა ბაზა. აღნიშნულ ბაზაში პირის შეყვანა და შესაბამისი მოწმობის გადაცემა ხდება მისთვის წევრის/საპატიო წევრის სტატუსის მინიჭებისთანავე. წევრთა ელექტრონულ ბაზაში მიეთითება წევრის სახელი, გვარი, რაიონი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი და გაწევრიანების თარიღი. ამასთანავე გამოყოფილია ცალკე გრაფა შენიშვნისათვის.

**საერთო კრება** (დელეგატთა ყრილობა) – საზოგადოების უმაღლესი მართვის ორგანო, რომელიც შედგება არანაკლებ 60 დელეგატისაგან და ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

**საერთო კრების დელეგატი** – წინამდებარე წესდების 5.1.6 მუხლით გათვალისწინებული პირები საერთო კრებაზე. საერთო კრების დელეგატი აუცილებლად უნდა იყოს ორგანიზაციის წევრი..

**პრეფერენციული სისტემა** – საარჩევნო სისტემა, რომლის საფუძველზეც დელეგატები კანდიდატებს ხმას აძლევენ კანდიდატთა პრეფერენციის შესაბამისად. კერძოდ, ყველაზე მისაღებ კანდიდატს 1 ქულა, მის მომდევნოს 2 ქულა და ა.შ., რიგითობის კლების მიხედვით. დათვლა ხდება ერთგვაროვანი ქულების რაოდენობის დადგენის და არა ქულების შეჯამების საფუძველზე (მაგალითად, 40 ცალი 1 ქულა, 15 ცალი 2 ქულა და ა.შ.).

**როტაცია** - პრინციპი, რომლის თანახმადაც გარკვეული დროის შემდეგ ხდება არჩეული თუ დანიშნული პირების განახლება.

**საზოგადოების გამგეობა** – საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო კრებებს შორის პერიოდში, რომელიც აირჩევა საერთო კრების მიერ 9 კაცის შემადგენლობით.

**სტრუქტურული ერთეული** – საზოგადოების მმართველობითი ერთეული, რომელიც იქმნება ამ წესდების თანახმად, საზოგადოების კონკრეტული საქმიანობიდან გამომდინარე. სტრუქტურული ერთეული არის და მოიცავს ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალიტეტის, ქალაქის ან რაიონულ დონეს.

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. კავშირი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ („სამართლიანი არჩევნები“) შემდგომში „საზოგადოება“ არის საქართველოს მოქალაქეთა არასამთავრობო, არაპოლიტიკური, არაკომერციული წევრობაზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, აგრეთვე, საერთაშორისო ხელშეკრულებების, მის მიერ ხელმოწერილი და აღიარებული დოკუმენტების და ამ წესდების საფუძველზე.

- 1.2. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ აცხადებს, რომ იგი ერთგულია და იცავს საქმიანობის პრინციპებს, რომელიც ამ წესდებას თან ერთვის.
- 1.3. "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" არის იურიდიული პირი, მას შეუძლია ჰქონდეს საანგარიშსწორებო ანგარიში და სხვა სახის, მათ შორის სავალუტო ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, აგრეთვე ბეჭედი, ემბლემა და სხვა რეკვიზიტები.
- 1.4. საზოგადოება, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- 1.5. საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #7ა.
- 1.6. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:
  - მშვიდობის დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი;
  - ქართველ ჟურნალისტთა ასოციაცია;
  - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
  - კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი.

## **მუხლი 2. საზოგადოების მიზნები**

- 2.1 საზოგადოების მიზანია, ხელი შეუწყოს:
  - 2.1.1. საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას;
  - 2.1.2. ქვეყნის მართვაში საზოგადოების როლის გაზრდას და ხელისუფლების მიერ საზოგადოების აზრის გათვალისწინებას;
  - 2.1.3. სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას;
  - 2.1.4. მმართველობის დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას;
  - 2.1.5. ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას;
  - 2.1.6. მოსახლეობის სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას;
  - 2.1.7. ადამიანის პოლიტიკურ-საარჩევნო და სხვა უფლებათა დაცვას.

## **მუხლი 3. საზოგადოების საქმიანობის ფორმები**

- 3.1 დასახული მიზნების მისაღწევად საზოგადოება:
  - აერთიანებს მიუკერძოებელ, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ინიციატივის მქონე ადამიანებს;
  - ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას;
  - ავრცელებს საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სხვა სახის ლიტერატურას,
  - ხელს უწყობს ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის რეგულარული დიალოგის ჩამოყალიბებას;
  - საქართველოს საარჩევნო და სხვა კანონმდებლობის დემოკრატიულ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიმუშავებს და წარადგენს რეკომენდაციებს;
  - სადამკვირებლო მისიის განხორციელების მიზნით ატარებს სხვადასხვა სახის საქმიანობებს;
  - ახორციელებს ქვეყანაში ყველა დონის სახელისუფლებო ორგანოებში არჩევნების, რეფერენდუმებისა და პლემბისციტის არაპარტიულ, სამოქალაქო მონიტორინგს: თავისი დამკვირვებლების მეშვეობით ახორციელებს მონიტორინგს როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე ხმის მიცემისა და შედეგების შეჯამების პროცესში საარჩევნო (სარეფერენდუმო/პლემბისციტის) კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე. მონიტორინგი მოიცავს ყველა დონის საარჩევნო კომისიის, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოწყობილ საარჩევნო უბნების საქმიანობას;
  - აღრიცხავს საარჩევნო კომისიების, ხელისუფლების ორგანოების, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების, აგრეთვე, ამომრჩევლების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს, მოიძიებს და ამუშავებს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას და აქვეყნებს დამოუკიდებელ ანგარიშსა და დასკვნებს არჩევნების (რეფერენდუმის/პლემბისციტის) სამართლიანობისა და შედეგების ობიექტურობის შესახებ;
  - ახორციელებს ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროების, აგრეთვე, მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის მონიტორინგს და აქვეყნებს შედეგებს;
  - ხელს უწყობს სამოქალაქო ინიციატივების გამოვლენას, აგრეთვე, უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით მოქალაქეთა ჩაბმას მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
  - ახორციელებს საზოგადოებრივი აზრის კვლევას;

- საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, სადაც თანამშრომლობს ანალოგიური მიზნებისა და პრინციპების მქონე ორგანიზაციებთან;
- მოიძიებს ფინანსურ საშუალებებს საზოგადოების მიზნების განსახორციელებლად;
- თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე ადგილობრივ და საზღვარგარეთის საქველმოქმედო ფონდებთან და დონორ ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;
- ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობებს.

#### **მუხლი 4. მუხლი 4. საზოგადოების წევრობა**

- 4.1 საზოგადოება არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს წევრები. საზოგადოებას შეიძლება ასევე ჰყავდეს საპატიო წევრები.
- 4.2 საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო ხმის უფლება და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
  - 4.2.1 იზიარებს საზოგადოების წესდებებს, ძირეულ პრინციპებსა და მიმართულებებს;
  - 4.2.2 არის მიუკერძოებელი და არ აკეთებს საჯარო განცხადებებს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მხარდასაჭერად;
  - 4.2.3 არ არის საჯარო სამსახურის თანამდებობის პირი (არჩეული საკანონმდებლო ორგანოში ან/და დანიშნული აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელ თანამდებობაზე), არ არის საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელი;
  - 4.2.4 მოახმარა საზოგადოებას წელიწადში მინიმუმ ორმოცდაათ საათს მოხალისეობრივად.

#### **4.3. საზოგადოების წევრად მიღება.**

წევრად მიღებას ახორციელებს გამგეობა. საზოგადოების წევრობის მსურველმა წერილობითი განცხადება უნდა დაწეროს გამგეობის სახელზე. განცხადება შეიძლება გადაეცეს უშუალოდ გამგეობას ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. განცხადებას თან უნდა დაერთოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და საზოგადოების ერთი წევრის რეკომენდაცია. რეკომენდაციები უნდა ადასტურებდეს, რომ რეკომენდირებული პირი აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს, მიუთითებს მოხალისეთა ყოფნისას ორგანიზაციისათვის დახარჯულ საათებს და მას გააჩნია ორგანიზაციისათვის მისაღები უნარ-ჩვევები. განცხადება გადაეცემა გამგეობას, რომელიც იხილავს განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებაში კანდიდატის გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ.

- 4.3.1 გამგეობის მიერ კანდიდატის წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს შესაბამისი განცხადების მიღების შემდეგ პირველივე გამგეობის სხდომაზე და აღნიშნულის თაობაზე წერილობით ეცნობოს განმცხადებელს.
- 4.3.2 პირის საზოგადოებაში გაწევრიანების თაობაზე გამგეობის გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის ვადაში კანდიდატი ვალდებულია გადაიხადოს საწევრო, რის შემდეგაც აღნიშნულ პიროვნებას ენიჭება საზოგადოების წევრის სტატუსი და ხდება მისი აღრიცხვა წევრთა ელექტრონულ ბაზაში.
- 4.4 ორგანიზაციას გააჩნია წევრთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელშიც ჩანაწერს გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად აკეთებს საზოგადოების აღმ. დირექტორის მიერ შერჩეული პასუხისმგებელი პირი. გამგეობის ან/და საზოგადოების აღმ. დირექტორის ნებართვის საფუძველზე საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიერ შესაძლებელია საზოგადოების წევრთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემთა გაცნობა, გარდა პირად ინფორმაციას მიკუთვნებული ნაწილისა.
  - 4.4.1 საზოგადოების წევრთა ერთიანი ელექტრონულ ბაზაში უნდა მოხდეს შესაბამისი ჩასწორება/ცვლილება, თუ:
    - 4.4.1.1 საზოგადოების წევრი საკუთარი სურვილით გადის საზოგადოებიდან და მან აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობა გამგეობას;
    - 4.4.1.2 თუ საზოგადოების წევრი იცვლის საცხოვრებელ/სამუშაო ადგილს ერთი რაიონის/მუნიციპალიტეტის/თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიიდან მეორეში და მან აღნიშნულის თაობაზე მიმართა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ან ცენტრალურ ოფისს.
    - 4.4.2 საზოგადოების წევრთა ელექტრონულ ბაზაზე პასუხისმგებელ პირს გამგეობის ან აღმ. დირექტორის მიერ უნდა ეცნობოს წევრთა ელექტრონულ ბაზაში შესატან ცვლილებათა თაობაზე.

#### **4.5. საზოგადოების წევრობის შეჩერება და საზოგადოებიდან წევრის გარიცხვა.**

- 4.5.1.0. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი ან საზოგადოების არანაკლებ 5 წევრი უფლებამოსილია მიმართოს გამგეობას იმ წევრთა ორგანიზაციიდან გარიცხვის მოთხოვნით, რომლებიც:
  - 4.5.1.1. უხეშად არღვევენ საზოგადოების წესდებს;
  - 4.5.1.2. არ ასრულებენ საზოგადოების შიდა რეგულაციებით დაწესებულ მოთხოვნებს;
  - 4.5.1.3. თავისი ქმედებით ლახავენ საზოგადოების რეპუტაციას ან თავისი საქმიანობით ზიანს აყენებს მას;
  - 4.5.1.4 არ იხდიან საწევრო გადასახადს დადგენილი წესითა და ვადებით.
- 4.5.2 გამგეობისათვის მიმართვად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ფორმით (ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი და სხვ.) საზოგადოების ცენტრალური ოფისისათვის წერილობითი მიმართვის მიწოდება.
- 4.5.3 გამგეობა წევრის გარიცხვის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან პირველივე სხდომაზე შეისწავლის გარიცხვის თაობაზე მიღებულ განცხადებაში დაყენებულ საკითხებს და ამზადებს დასაბუთებულ წერილობით დასკვნას საერთო კრებისათვის, რომელიც საერთო კრების მონაწილეებს უნდა გაეგზავნოთ დღის წესრიგთან ერთად. წევრის საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების საერთო კრება ფარული კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.
- 4.5.4 საზოგადოების წევრის გარიცხვის თაობაზე გამგეობაში საკითხის დაყენება ავტომატურად იწვევს ამ პირისათვის წევრობის შეჩერებას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რის თაობაზეც შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს წევრთა ელექტრონულ ბაზაში.
- 4.5.4.1 საზოგადოების წევრი, რომელსაც 4.5.4. მუხლის საფუძველზე შეუჩერდა წევრობა, საერთო კრების საბოლოო გადაწყვეტილებამდე არ არის უფლებამოსილი განახორციელოს საზოგადოების წევრისათვის დაწესებული უფლება-მოვალეობანი.
- 4.5.5 წევრის სტატუსი ავტომატურად შეუწყდებათ იმ პირს, რომელიც:
  - 4.5.5.1 გაერთიანდება პოლიტიკურ პარტიაში;
  - 4.5.5.2 დამტკიცდება, რომ იგი არის ამკარა მიკერძოებული რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ;
  - 4.5.5.3 აირჩევა/დაინიშნება საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან საქართველოს ძალოვანი სტრუქტურის ნებისმიერ თანამდებობაზე;
  - 4.5.5.4 საკუთარი სურვილით გავიდა საზოგადოებიდან;
  - 4.5.5.5 გარდაიცვალა.

#### **4.6. საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობანი**

- 4.6.1 საზოგადოების წევრს უფლება აქვს:
  - 4.6.1.1 დაესწროს საერთო კრებას;
  - 4.6.1.2 აირჩიოს და არჩეულ იქნას საზოგადოების გამგეობაში;
  - 4.6.1.3 მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში;
  - 4.6.1.4 მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
  - 4.6.1.5 გაეცნოს საზოგადოების მიერ მომზადებულ და გამოცემულ ლიტერატურას;
  - 4.6.1.6 გაეცნოს საზოგადოების ბიუჯეტს, საგრანტო განაცხადებს, პროგრამებს და საზოგადოების ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციას;
  - 4.6.1.7 ისარგებლოს საზოგადოების ქონებით საწესდებო მიზნებისა და საზოგადოების პროგრამების შესრულებისას; გამოიყენოს საზოგადოების ბიბლიოთეკა, იყოს მონაწილე პროგრამებისა, რასაც ორგანიზაცია წევრებს სთავაზობს სამოქალაქო განათლების კუთხით;
  - 4.6.1.8 მიაწოდოს თავისი შენიშვნები და რეკომენდაციები საზოგადოების საქმიანობისა და ადმინისტრაციის შესახებ ხელმძღვანელ ორგანოებს და მოითხოვოს მათი განხილვა/გათვალისწინება;
  - 4.6.1.9 ნებისმიერ დროს გავიდეს საზოგადოებიდან თავისი სურვილით;
  - 4.6.1.10 საჩივრით მიმართოს საზოგადოების გამგეობას;
  - 4.6.1.11 არჩევნების დროს მონაწილეობა მიიღოს სადამკვირვებლო მისიაში.
- 4.6.2 საზოგადოების წევრი ვალდებულია:
  - 4.6.2.1 დაიცვას ეს წესდება;
  - 4.6.2.2 საზოგადოების ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებში იყოს მიუკერძოებელი;
  - 4.6.2.3 არ მიიღოს მონაწილეობა რომელიმე პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ გამართულ საარჩევნო კამპანიაში და არ გააკეთოს საჯარო განცხადებები მათ მხარდასაჭერად;

4.6.2.4 წინამდებარე წესდებით დადგენილი წესითა და ოდენობით გადახადოს საწევრო გადასახადი.

#### 4.7. საპატიო წევრი.

საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი. საზოგადოების საპატიო წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნის სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც არ არის საზოგადოების წევრი, სარგებლობს საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით, იზიარებს საზოგადოების პრინციპებს, აქვს სურვილი ლობირება გაუწიოს ორგანიზაციას, იზრუნოს მასზე დადებითი იმიჯის შესაქმნელად.

4.7.1 საპატიო წევრად მიღებას ახორციელებს საერთო კრება ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

4.7.1.1 საპატიო წევრის კანდიდატურის წარდგენა უნდა მოხდეს გამგეობისათვის არა უგვიანეს საერთო კრებამდე ბოლო გამგეობის სხდომისა. საპატიო წევრის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს თავად გამგეობას, ად. დირექტორს ან საზოგადოების ნებისმიერ წევრს, საპატიო წევრობის კანდიდატის მიერ ნებისმიერი ფორმით გამოთქმული თანხმობის შემთხვევაში.

4.7.1.2 გამგეობა განიხილავს წარმოდგენილ კანდიდატურას და დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული საკითხის საერთო კრების დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

4.7.2 საპატიო წევრთა აღრიცხვა უნდა მოხდეს წევრთა ერთიანი ელექტრონული ბაზისაგან დამოუკიდებლად, წევრთა აღიკვეთისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

4.7.3 საპატიო წევრი უფლებამოსილია:

- თავისი კომპეტენციის და შესაძლებლობების ფარგლებში აქტიური ლობირება გაუწიოს ორგანიზაციას;
- გააცნოს დაინტერესებულ პირებს ორგანიზაციის პროექტები და განხორციელებული საქმიანობები.

4.7.3.1 საპატიო წევრი არ შეიძლება იყოს ორგანიზაციის მმართველობითი რგოლის წევრი ან საზოგადოებასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, ასევე საზოგადოების წევრი.

4.7.4 საზოგადოების საპატიო წევრობის გაუქმება.

საზოგადოების საპატიო წევრობის გაუქმება ხდება გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ:

4.7.4.1 პირი გარდაიცვალა;

4.7.4.2 პირმა წერილობით თქვა უარი საპატიო წევრობაზე;

4.7.4.3 პირი მოქმედებს საზოგადოების წინააღმდეგ ან მისი მოქმედება ეწინააღმდეგება საზოგადოების წესდებითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებს.

## **მუხლი 5. საზოგადოების მართვა, წარმომადგენლობა და ხელმძღვანელი ორგანოები**

### **5.1. საზოგადოების საერთო კრება**

საზოგადოების უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საზოგადოების საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც.

5.1.1. საერთო კრება ტარდება ყოველი აპრილის პირველ შაბათ დღეს.

5.1.1.1. საერთო კრების მოწვევა ხდება გამგეობის მიერ. გამგეობას უფლება აქვს პატივსადები მიზეზის არსებობისას მიიღოს გადაწყვეტილება საერთო კრების ჩატარების თარიღის შეცვლის თაობაზე. ამის შესახებ გამგეობამ საერთო კრების ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე უნდა აცნობოს საზოგადოების ყველა წევრს.

5.1.2. გამგეობას საერთო კრების ჩატარების თარიღის გადავადება შეუძლია არა უმეტეს 1 (ერთი) თვით.

5.1.2.1. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის მიერ ვერ მოხერხდება დანიშნული თარიღით საერთო კრების ჩატარება, საზოგადოების წევრთა არანაკლებ 1/10-ის წერილობითი განცხადების საფუძველზე გამგეობას უწყდება უფლებამოსილება და საერთო კრების მოწვევის ვალდებულება გადადის საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორზე.

5.1.2.2. იმ შემთხვევაში თუ აღმასრულებელი დირექტორი ვერ უზრუნველყოფს საერთო კრების მოწვევას წინა კრებიდან 14 თვის ვადაში, იგი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და საინიციატივო ჯგუფს ენიჭება უფლება მოიწვიოს კრება და აირჩიოს დროებითი აღმასრულებელი დირექტორი, რომლის ერთადერთი მოვალეობა იქნება საერთო კრების ორგანიზება და ჩატარება.

- 5.1.2.3.** წინამდებარე წესდების 3.5.1.2.2.-ით გათვალისწინებული საინიციატივო ჯგუფი შედგება საზოგადოების ცენტრალური ოფისის 5 თანამშრომლისაგან (მათი ვინაობა განისაზღვრება წილისყრით) და საზოგადოების რეგიონალური სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთაგან.
- 5.1.3.** საერთო კრების დელეგატებს უნდა ეცნობოთ საერთო კრების ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და კრების დღის წესრიგი კრებამდე არაუგვიანეს 14 დღისა. დღის წესრიგს ადგენს საზოგადოების გამგეობა.
- 5.1.3.1.** განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა დელეგატებს საერთო კრების ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და კრების დღის წესრიგი ეცნობოთ 5.1.3. პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით, მაგრამ გონივრულ ვადაში.
- 5.1.4.** საზოგადოების საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება მის კომპატენციას და დადგენილია შესაბამისი დღის წესრიგით.
- 5.1.4.1.** საზოგადოების არანაკლებ 15 წევრი უფლებამოსილია საერთო კრებამდე არა უგვიანეს 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს გამგეობას და მოითხოვოს დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. გამგეობა ვალდებულია შეიტანოს აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში და აღნიშნულის თაობაზე დაუყონებლივ აცნობოს საერთო კრების დელეგატებს/.
- 5.1.4.2.** საერთო კრებაზე დამსწრე დელეგატთა არანაკლებ 1/3-ს უფლება აქვს უშუალოდ საერთო კრებაზე განსახილველად დააყენოს გამგეობის მიერ დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული დამატებითი საკითხი. აღნიშნული უფლება დელეგატებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემათ, თუ საერთო კრებაზე მათ მიერ წარმოდგენილი იქნება დამატებითი გარემოებანი, რომლებიც დაადასტურებენ, რომ მათ მიერ დღის წესრიგში დამატებითი საკითხის დაყენება წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ ვადებში პატივსაღები მიზეზის გამო შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში საერთო კრება დამსწრე დელეგატთა ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას საკითხის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.
- 5.1.5.** საერთო კრება შედგება არანაკლებ 60 დელეგატისაგან. ზუსტ რაოდენობას გამგეობა ადგენს კრების მოწვევამდე არა უგვიანეს 1 თვისა. რეგიონალური სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აღმასრულებელ დირექტორსა და გამგეობის წევრებს დელეგატთა სტატუსი ენიჭებათ ავტომატურად (იმ შემთხვევაში თუ ისინი ორგანიზაციის წევრები არიან).
- 5.1.5.1.** ცენტრალური ოფისის თანამშრომელთა არა უმეტეს 1/3 უფლებამოსილია წილისყრის საფუძველზე მოიპოვოს საერთო კრების დელეგატის სტატუსი და მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში.
- 5.1.5.2.** რაიონული სტრუქტურული ერთეულისათვის დაწესებულია დელეგატთა კვოტა, კერძოდ თითოეული რაიონული სტრუქტურული ერთეულისათვის 1 დელეგატის ოდენობით.
- 5.1.2.3** დელეგატის შერჩევა ხდება შესაბამისი რაიონის საზოგადოების წევრთა მიერ ღია კენჭისყრის საფუძველზე, რაზედაც შესაბამისი რეგიონალური სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ დდება შესაბამისი ოქმი, რომელიც გადაეცემა გამგეობას არა უგვიანეს ყოველი წლის 1 თებერვლისა.
- 5.1.6.** საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება თუ მას ესწრება უფლებამოსილ დელეგატთა ნახევარზე მეტი. კრებას უძღვება გამგეობის თავმჯდომარე ან მის მიერ დასახელებული გამგეობის რომელიმე სხვა წევრი.
- 5.1.7.** საერთო კრება უფლებამოსილია:
- 5.1.7.1.** დამსწრეთა ხმათა  $\frac{3}{4}$ 2/3-ით:
- 5.1.7.1.1.** მიიღოს საზოგადოების წესდება ან შეიტანოს მასში ცვლილებები;
- 5.1.7.1.2.** მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- 5.1.7.2.** დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით:
- 5.1.7.2.1** პრეფერენციული სისტემით აირჩიოს გამგეობა 3 წლის ვადით;
- 5.1.7.2.1.** მოისმინოს და შეაფასოს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და გამგეობის მიერ სხვა უფლებამოსილ პირებზე მიჩნეულ პირთა მოხსენებები (ანგარიშები);
- 5.1.7.2.3** განიხილოს და განსაძღვროს საზოგადოების მისიის განაცხადი და პრიორიტეტები მომდევნო წლისათვის;
- 5.1.7.2.2.** დაამტკიცოს საზოგადოების ემბლემა, ლოგოტიპი და სხვა სიმბოლოები;
- 5.1.7.2.3.** განიხილოს დღის წესრიგში შეტანილი სხვა საკითხები;
- 5.1.7.2.4.** საჭიროების შემთხვევაში გადაირჩიოს გამგეობის მთლიანი შემადგენლობა ან უფლებამოსილება შეუწყვიტოს გამგეობის ცალკეულ წევრს/წევრებს;
- 5.1.7.2.5.** გამგეობის წარდგენით მიიღოს გადაწყვეტილება პირის საპატიო წევრად მიღების თაობაზე;

- 5.1.7.2.6. გამგეობის წარდგენით მიიღოს გადაწყვეტილება წევრის/წევრების გარიცხვის შესახებ;
- 5.1.7.2.7. წინამდებარე წესდების შესაბამისად გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხები.
- 5.1.8. რიგგარეშე საერთო კრება მოწვეული უნდა იქნას წევრთა 1/10-ის წერილობითი მოთხოვნით და შესაბამისი დღის წესრიგის მითითებით. რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების თაობაზე წევრთა წერილობითი მოთხოვნა უნდა ეცნობოს გამგეობას. ამ შემთხვევაში გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება წევრთა წერილობით მოთხოვაში მითითებულ ვადაში.
- 5.1.8.1. რიგგარეშე საერთო კრების მიმართ მოქმედებს წინამდებარე წესდებით განსაზღვრული საერთო კრების ჩატარების ზოგადი წესი.

**5.2. საზოგადოების გამგეობა.**

საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო კრებებს შორის პერიოდში არის გამგეობა. გამგეობა თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე წესდების, HR Manual - ადამიანური რესურსების სახელმძღვანელოსა და საზოგადოების ფინანსური პოლიტიკის სახელმძღვანელოს საფუძველზე.

- 5.2.1. გამგეობა შედგება 9 წევრისგან, რომელთაც ირჩევს საერთო კრება. დაუშვებელია გამგეობის წევრის არჩევა ზედიდედ ორი ვადით.
  - 5.2.1.1. გამგეობის წევრთა უფლებამოსილება გრძელდება მათი ვადის გასვლის შემდეგაც ახლადარჩეული წევრებისათვის მანდატის გადაცემამდე.
  - 5.2.1.2. მანდატების გადაცემა ხდება მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის შემდეგ.
- 5.2.2. გამგეობის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც:
  - არის ორგანიზაციის წევრი;
  - აქვს უმაღლესი განათლება;
  - არის 25 წელს ზემოთ ასაკის;
  - არ არის ცენტრალური ოფისის თანამშრომელი. ან რომელიმე სტრუქტურული ერთეულის, ანუ რეგიონული, მუნიციპალიტეტის, ქალაქის ან რაიონულ დონის ხელმძღვანელი.
- 5.2.3. გამგეობის წევრთა არჩევნები:
  - 5.2.3.1. გამგეობის წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საზოგადოების ყველა წევრს. ამისთვის წევრმა კრებამდე სულ მცირე საერთო კრებამდე ბოლო გამგეობის სხდომაზე ადრე მაინც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ან გამგეობას. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს დასახელებული პირის სახელი, გვარი, მოკლე ბიოგრაფია, პირადობის მოწმობის ასლი და იმ პირის ვინაობა, რომელიც ასახელებს მოცემულ კანდიდატს;
    - 5.2.3.1.1. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ამ განცხადებას გადასცემს გამგეობის თავმჯდომარეს არა უგვიანეს გამგეობის უკანასკნელი სხდომისა საერთო კრებამდე. გამგეობა წილისყრის საფუძველზე ადგენს წარმოდგენილ კანდიდატთა საერთო სიას და წარუდგენს მას საერთო კრებას;
    - 5.2.3.1.2. გამგეობა ვალდებულია, საზოგადოების წევრებს მათი მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია დასახელებული კანდიდატების შესახებ;
  - 5.2.3.2. გამგეობის წევრთა პრეფერენციული სისტემის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ირჩევს საზოგადოების საერთო კრება.
    - 5.2.3.2.1. უფლებამოსილების 3 წლიანი ვადის გასვლის შესაბამისად გამგეობის სამი წევრი განახლდება ყოველწლიურად საერთო კრებაზე პრეფერენციული სისტემით ფარული კენჭისყრის საფუძველზე. უფლებამოსილება უწყდებათ გამგეობის იმ წევრებს, რომელთაც პრეფერენციული სისტემის საფუძველზე მინიჭებული რიგითი ნომრებით დაიკავეს უკანასკნელი სამი ადგილი.
    - 5.2.3.2.2. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის ყველა წევრის არჩევა მოხდა ერთდროულად და მათი უფლებამოსილების ვადა არის 3 წელი, როტაციის ზოგადი წესით განახლების ნაცვლად, გამგეობას ყოველწლიურად გამოაკლდება გამგეობის ის 3 წევრი, რომელთაც არჩევისას პრეფერენციული სისტემის საფუძველზე რიგითობის მიხედვით დაიკავეს ბოლო ადგილი. (მაგალითად, არჩევიდან პირველ წელს უფლებამოსილება შეუწყდება მე-9, მე-8 და მე-7 ადგილზე გასულ გამგეობის წევრებს, არჩევიდან მე-2 წელს უფლებამოსილება შეუწყდება მე-6, მე-5 და მე-3 ადგილზე გასულს წევრებს და ა.შ.). გამოკლებულ წევრთა შევსება მოხდება წესდებით დადგენილი წესით, პრეფერენციული სისტემით არჩევის საფუძველზე.

- 5.2.3.2.3.** კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატთა სრული სია შედეგებთან ერთად ინახება გამგეობის მდივანთან.
- 5.2.4.** გამგეობის სხდომა საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსახილველი საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, გამგეობამ წინასწარ იიღო გადაწყვეტილება სხდომის დახურულად გამოცხადების თაობაზე.
- 5.2.5.** გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება 5 წევრი მაინც. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
- 5.2.6.** გამგეობის ყოველი სხდომის შემდეგ გამგეობის მდივანი ადგენს სხდომის ოქმს, რომელიც ინახება ცენტრალურ ოფისში და ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა წევრისათვის. ოქმის ერთი ეგზემპლარი ინახება საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარესთან.
- 5.2.6.1.** გამგეობის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. გამგეობის წევრს უფლება ოქმში დააფიქსიროს თავისი განსხვავებული აზრი და აღნიშნული დაადასტუროს ხელმოწერით.
- 5.2.7.** ახლად არჩეული გამგეობის უფლებამოსილება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის მომენტიდან: ახალმა გამგეობამ სარეგისტრაციოდ უნდა მიმართოს არჩევიდან არა უგვიანეს 48 საათისა. ახალი გამგეობის რეგისტრაციამდე უფლებამოსილებას ინარჩუნებს გამგეობის ძველი შემადგენლობა.
- 5.2.8.** განახლებული გამგეობის პირველი სხდომა ტარდება მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციიდან 1 კვირის განმავლობაში. გამგეობის პირველივე სხდომაზე გამგეობა თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით და დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და გამგეობის მდივანს;
- 5.2.9.** გარდა 5.2.6. მუხლით გათვალისწინებული გამგეობის სხდომისა, გამგეობა იკრიბება 4-ჯერ წლის განმავლობაში, სავარაუდოდ სამ თვეში ერთხელ.
- 5.2.9.1.** გამგეობის რიგარეშე სხდომის მოწვევა შესაძლებელია გამგეობის არანაკლებ 4 წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და დღის წესრიგის მითითებით. გამგეობის სხდომა შეიძლება ასევე მოიწვიონ გამგეობის თავმჯდომარემ და საზოგადოების აღმასრულებელმა დირექტორმა.
- 5.2.10.** გამგეობის წევრები თავის მოვალეობებს ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე – ანაზღაურების გარეშე.
- 5.2.10.1.** გამგეობის სხდომასთან ან/და გამგეობის წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ანაზღაურებს საზოგადოება.
- 5.2.11.** საზოგადოების გამგეობა:
- 5.2.11.1.1** წლის ვადით გამგეობის წევრთაგან ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს. დაუშვებელია თავმჯდომარის არჩევა მეორე ვადით;
- 5.2.11.2.** თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს და გამგეობის მდივანს;
- 5.2.11.3.** კონკურსის წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორს;
- 5.2.11.4.** გამგეობის სხდომებზე კვარტალში ერთხელ ისმენს აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ და სამომავლო გეგმებს;
- 5.2.11.5.** აფასებს დირექტორის მუშაობას, ამისათვის შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმებს;
- 5.2.11.6.** წარუდგენს საერთო კრებას გამგეობის ანგარიშს;
- 5.2.11.7.** ამტკიცებს კრების გადაწყვეტილების შესასრულებლად განსახორციელებელ პროგრამასა და პოლიტიკას;
- 5.2.11.8.** ამტკიცებს, უარყოფს ან/და შესწორებები შეაქვს აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილ საორგანიზაციო და პროგრამულ პროექტებში, რომელთა ღირებულება აღემატება 200 000 ლარს;
- 5.2.11.9.** აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოების ყოველწლიურ ბიუჯეტს და სამოქმედო გეგმას;
- 5.2.11.10.** ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი დირექტორისა და საზოგადოების საქმიანობას; აფასებს აღმასრულებელი დირექტორის მიერ შესრულებულ საქმიანობას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;
- 5.2.11.11** იღებს გადაწყვეტილებას საწევროს დაწესების და მისი ოდენობის შესახებ;
- 5.3.1.1.** აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ადამიანური რესურსების სახელმძღვანელოს და მასში შეტანილ ცვლილებებს.

- 5.3.1.2.** აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულების გახსნის და დახურვის შესახებ.
- 5.3.1.3.** განიხილავს და იძლევა რეკომენდაციებს ორგანიზაციის წევრების მიერ შემოტანილ კითხვებსა და საკითხებთან დაკავშირებით;
- 5.3.1.4.** იღებს გადაწყვეტილებას ყოველწლიური გარე აუდიტის ჩატარების შესახებ;
- 5.3.1.5.** იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების წლიური ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ.
- 5.3.1.6.** მედიაციას საზოგადოების წევრებსა და საზოგადოების თანამშრომლეთა შორის კონფლიქტების მოგვარების კუთხით და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს;
- 5.3.1.17** ახორციელებს მედიაციას საზოგადოების წევრებსა და საზოგადოების თანამშრომლეთა შორის კონფლიქტების მოგვარების კუთხით და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს;
- 5.2.11.18** არეგულირებს ინტერსეთა კონფლიქტის პოლიტიკას ორგანიზაციაში;
- 5.3.2.** საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე:
- 5.3.2.1.** სარგებლობს იმავე სტატუსით, როგორც გამგეობის სხვა წევრები;
- 5.3.2.2.** ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას;
- 5.3.2.3.** იწვევს და უძღვება გამგეობის სხდომებს;
- 5.3.2.4.** წარუდგენს საერთო კრებას ანგარიშს გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- 5.3.2.5.** აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ასრულებს აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას.
- 5.3.3.** გამგეობის მუშაობის წესები (ორგანიზაცია)
- გამგეობის სხდომებს ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე. გამგეობის სხდომებს დოკუმენტურად აფორმებს გამგეობის მდივანი, მდივნის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქცია გამგეობის თავმჯდომარის დავალებით შეიძლება შეასრულოს სხვა წევრმა.
  - გამგეობას საჭიროების მიხედვით უფლება აქვს ჩამოაყალიბოს დარგობრივი კომისიები, რომლებიც გამოიკვლევენ და გამგეობას განსახილველად წარუდგენენ ორგანიზაციისათვის საჭირო საკითხებს. კომისია იქმნება 3-3 წევრის შემადგენლობით, რომელიც ირჩევა ღია კენჭისყრით დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით, კომისიის თავმჯდომარეს კომისიის შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისიის წევრი შეიძლება იყოს ასევე მოწვეული პიროვნება, რომელიც არ არის გამგეობის/საზოგადოების წევრი.
  - გამგეობის სხდომაზე საკითხების მიღება ხდება ღია კენჭისყრით დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებით გათვალისწინებული საკითხებისა,
  - აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლების და გამგეობის თანამდებობის პირების არჩევა/გათავისუფლების საკითხი წყდება ფარული კენჭისყრით დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.
  - გამგეობის სხდომებზე საკითხს წარმოადგენს ერთ ერთი გამგეობის წევრი, ან კომისია.
  - გამგეობა შემოსულ განცხადებას იხილავს უახლოეს (ან რიგგარეშე) სხდომაზე. განცხადების განხილვას შეიძლება ესწრებოდეს დაინტერესებული მხარეები. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის საფუძველზე.
- 5.3.4.** გამგეობის წევრის გამოკლება შესაძლოა მოხდეს შემდეგი მიზეზებით:
- წევრი გარდაიცვალა;
  - წევრი უარს ამბობს დაკავებულ თანამდებობაზე;
  - წევრი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო (ხანგრძლივი მივლინებები და სხვ.) ვერ ახერხებს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას;
  - წევრი გამგეობისათვის სათანადო მიზეზის წინასწარ შეტყობინების გარეშე აცდენს გამგეობის ზედიზედ 2 სხდომას;
  - საერთო კრების გადაწყვეტილებით გამგეობის წევრი გარიცხული იქნება საზოგადოების წევრობიდან.
- 5.3.4.1.** გამგეობის წევრის გამოკლების შემთხვევაში გამოკლებულ წევრს მისი უფლებამოსილების ვადით ანაცვლებს ბოლო საერთო კრების მიერ პრეფერენციული სისტემით არჩეული მისი მომდევნო კანდიდატი რიგითობის მიხედვით, რომელიც ვერ მოხვდა მოქმედი გამგეობის შემადგენლობაში. თუ ეს პირი უარს ამბობს გამგეობის წევრობაზე, წევრის სტატუსი ენიჭება მის მომდევნო პირს სიაში და ა. შ.

**5.3.4.2.** იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გამოკლებული წევრის ჩანაცვლება მომდევნო კანდიდატით, ასეთის არარსებობის გამო, გამგეობის შემადგენლობაში გათავისუფლებული ადგილი არის ვაკანტური მომდევნო საერთო კრებამდე.

**5.3.5. გამგეობის წევრის გარიცხვა**

გამგეობის წევრის გარიცხვის საკითხის დაყენების უფლება აქვს გამგეობის 2 წევრს. ამ შემთხვევაში გამგეობაში იქმნება კომისია 3 კაცის შემადგენლობით. კომისიის ერთ წევრს ასახელებს გამგეობის ის 2 წარმომადგენელი, რომლებიც სვამენ საკითხს, 1 წევრს ნიშნავს გამგეობის თავმჯდომარე და 1-ს – ის პირი, რომლის საკითხიც დგება დღის წესრიგში. კომისია შექმნიდან 3 კვირის ვადაში იკვლევს საკითხის დასმის მიზეზებს და სათანადო დასკვნას წარუდგენს გამგეობას. გამგეობა, დასკვნის საფუძველზე, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ფარული კენჭისყრით, რომელშიც არ იღებს მონაწილეობას გამგეობის ის წევრი, რომლის გარიცხვის საკითხზეც მიმდინარეობს კენჭისყრა (სიახლე – არ მონაწილეობა კენჭისყრაში).

**5.3.5.1.** გამგეობის წინაშე გამგეობის წევრის გარიცხვის საკითხის დაყენება ავტომატურად იწვევს გამგეობის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე იმ გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეჩერებას, რომლის გარიცხვის საკითხიც იქნა დაყენებული.

**5.3.5.2.** იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის საერთო კრების წინაშე დაყენების თაობაზე, გამგეობის წევრს, რომლის საკითხიც ამგვარად გადაწყდა, შეუჩერდება უფლებამოსილება საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

**5.4. საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი**

აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს გამგეობა 1 წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარე აფორმებს და წყვეტს შრომითი ხელშეკრულებას აღმასრულებელ დირექტორთან.

**5.4.1.** გამგეობა უფლებამოსილია აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დანიშნოს ერთიდაიგივე პირი ზედიზედ 4 ვადით.

**5.4.1.1.** აღმასრულებელი დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირთან ურთიერთობაში. მასვე ენიჭება სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილება და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეზღუდული არ არის;

**5.4.2.** საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი:

**5.4.2.1.** ხელმძღვანელობს ორგანიზაციას მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისად, პასუხისმგებელია ორგანიზაციის ოპერატიულ მართვაზე;

**5.4.2.2.** წარმართავს საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას;

**5.4.2.3.** ხელმძღვანელობს (კოორდინაციას უწევს) განსახორციელებელ პროგრამებს;

**5.4.2.4.** ქმნის და ხელმძღვანელობს საზოგადოების აპარატს, განსაზღვრავს მათ სამუშაო აღწერილობებს, უწევს ზედამხედველობასა და აწარმოებს შეფასებას;

**5.4.2.5.** განაგებს საზოგადოების ქონებას და პასუხისმგებელია მის მიზნობრივ გამოყენებაზე;

**5.4.2.6.** ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ, მათ შორის საფინანსო დოკუმენტებს, გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომელიც სავალდებულოა ორგანიზაციის ყველა თანამშრომლისათვის;

**5.4.2.7.** ყოველწლიურად წარუდგენს კრებას საზოგადოების სამუშაო გეგმებს და ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ;

**5.4.2.8.** კვარტალში ერთხელ წარუდგენს გამგეობას ანგარიშს გაწეული საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ;

**5.4.2.9.** წარუდგენს დასამტკიცებლად გამგეობას იმ პროექტებს რომელთა ღირებულებები აღემატება 200 000 ლარს;

**5.4.2.10.** უზრუნველყოფს საზოგადოების აპარატში უფლებამოსილებათა დელეგირებას და აპარატის საქმიანობის გამჭვირვალეობას;

**5.4.2.11.** წერილობით აცალიბებს საზოგადოების ფინანსურ და სამტატო პოლიტიკას და დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას;

**5.4.2.12.** ასრულებს წინამდებარე წესდებით და გამგეობის მიერ მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

**5.4.2.13.** წარმოადგენს ანგარიშვალდებულ და პასუხისმგებელ პირს საერთო კრებისა და გამგეობის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე/შეუსრულებლობაზე.

- 5.4.2.14. ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსებს, პასუხისმგებელია, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის მიხედვით; ვალდებულია კანონით გათვალისწინებული ვადებით შეინახოს დოკუმენტაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
- 5.4.2.15. ორგანიზაციის საქმიანობის მიხედვით გამგეობასთან შეთანხმებით ხსნის და ხურავს ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს.
- 5.4.2.16. კოორდინაციას უწევს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
- 5.4.2.17. შეიმუშავებს ადამიანური რესურსების სახელმძღვანელოს და წარუდგენს გამგეობას დასამტკიცებლად.

## მუხლი 6. საზოგადოების ქონება

- 6.1 საზოგადოების ქონების ფორმირების წყაროებია:
- გრანტები, ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შენატანები, საწევროები და შემოწირულობანი;
  - ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
  - სხვა შემოსავლები, რომელთა მიღება არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.
- 6.2 საზოგადოების ქონება გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ საწესდებო მიზნების შესასრულებლად. მათი განაწილება დამფუძნებლებს, წევრებს, გამგეობის წევრებსა თუ სხვა ორგანოების წევრებს შორის დაუშვებელია.

## მუხლი 7. საზოგადოების ლიკვიდაციისა და ქონების განაწილების წესი

- 7.1. საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება:
- a) საერთო კრების გადაწყვეტილებით.
  - b) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონით დადგენილი წესით.
- 7.2. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება ორგანიზაციის მიერ დაარსებულ იურიდიულ პირებს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან გამოიყენება საქველმოქმედო მიზნებით.

## მუხლი 6. საზოგადოების გამგეობის წევრები არიან:

- 6.1. თამარ ქაროსანიძე - დაბ. თარიღი: 19.04.1979წ. დაბ. ადგილი: ქ.თბილისი, მცხ. ქ თბილისი. კოჯრის ქ.#2, პირადი ნომერი: # 01017007483;
- 6.2. ქეთევან სავანელი - დაბ. თარიღი: 12.03.1967წ. დაბ. ადგილი: ქ.თბილისი. მცხ.: ძე. თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ, პირველი მ/რ პირველი კორპუსი. პირადი ნომერი: #01009014131;
- 6.3. თორნიკე შარაშენიძე - დაბ. თარიღი: 12.04.1971წ. დაბ. ადგილი: ქ.თბილისი. მცხ.: ძე. თბილისი, დიდძის მასივი, II კვარტ. კორპ.12, ბინა 13. პირადი ნომერი: #01018000938;
- 6.4. ნინო შარაშენიძე - დაბ. თარიღი: 02.07.1977წ. დაბ. ადგილი: ქ. ვანი. მცხ.: სამტრედია, გოგებაშვილი 22, პირადი ნომერი: #37001018560;
- 6.5. გიორგი გულიაშვილი - დაბ. თარიღი: 28.12.1977წ. დაბ. ადგილი: ქ.თბილისი. მცხ.: თბილისი. გლდანის მასივი, მე-4 მ/რ კორპ 98 ბინა 25, პირადი ნომერი: # 01001009876;
- 6.6. ნანა მამაგულაშვილი - დაბ. თარიღი: 28.06.1971წ., დაბ. ადგილი: თბილისი. მცხ.: თბილისი, დ/დილომი, მე-4 მ/რ, კორპ. 19, ბინა 45, პირადი ნომერი: #01025013524;
- 6.7. თინათინ ბაიხანაშვილი - დაბ. თარიღი: 10.05.1953 წ. დაბ. ადგილი: ქ.თელავი. მცხ.: ყვარლის რაიონი. პირადი ნომერი: # 45001010298;
- 6.8. მარეხი გაგნიძე - დაბ. თარიღი: 27.02.1985წ. დაბ. ადგილი: ქ.თბილისი. მცხ.: თბილისი, გლდანის IV მ/რ, კორპ. 96ბ, ბინა 51, პირადი ნომერი: #01001029789;
- 6.9. ირინა წერეთელი - დაბ. თარიღი: 04.12.1978წ. დაბ. ადგილი: ქ.თბილისი. მცხ.: თბილისი, გლდანის VI მ/რ, კორპ. 6, ბინა 129, პირადი ნომერი: #01002021294.